საკანონმდებლო მაცნე

ნოემბერი 2023
[NO.10] www.bdo.ge

შინაარსი

- გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის ახალი დანართი
- სურსათის უსასყიდლო მიწოდება

ცვლილება ბრძანებაში

გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის ახალი დანართი

2023 წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №382, რომლითაც ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში.
ცვლილების თანახმად, აღნიშნული ბრძანების 38-ე მუხლს, რომელიც არეგულირებს გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის შევსების წესს, დაემატა ახალი 12[1] პუნქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, ამავე ბრძანების გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის დანართ №II-06-ს დაემატა ახალი „ე“ დანართი.

დეკლარაციის დანართ „ე“-ში პირი ვალდებულია ასახოს ინფორმაცია ფიზიკური პირისგან მიღებული მომსახურებისთვის ფულადი ფორმით განხორციელებული იმ ანაზღაურების შესახებ, რომელიც არ ექვემდებარება დაბეგვრას გადახდის წყაროსთან საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად (მაგ: ინდმეწარმეზე გაცემული ანაზღაურება, არარეზიდენტ ფიზიკურ პირზე ფულადი ფორმით გაცემული ისეთი ანაზღაურება, რომელიც საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად არ განიხილება და ა.შ.). ინფორმაცია ასეთი ანაზღუარების შესახებ უნდა აისახოს მისი ფაქტობრივად გაცემის საანგარიშო თვის მიხედვით, სვეტების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად. კერძოდ, აღნიშნულ დანართში აისახება შემდეგი:

- განაცემების მიმღები პირის მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტში მითითებული ნომერი ან/და საიდენტიფიკაციო ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი და რეზიდენტობა
- მომსახურების სახე (განაცემის მიმღების მიერ გაწეული მომსახურების შინაარსი)
- განაცემის ოდენობა (თანხა), რომლითაც ანაზღაურდა მომსახურება.

ცვლილება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილება კანონში

სურსათის უსასყიდლო მიწოდება

2023 წლის 24 ოქტომბერს გამოქვეყნდა საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება შეეხო სსკ-ის 98^3 მუხლს, რომელიც ეხება მოგების გადასახადის მიზნებისთვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდებას/ მომსახურების გაწევას ან/და ფულადი სახსრების გადაცემას. ცვლილება ასევე შეეხო სსკ-ის 172-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას, კერძოდ:

- 98^3 მუხლის მე-3 ნაწილს დაემატა „თ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მოგების გადასახადით არ დაიბეგრება სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის/სურსათის ბანკისთვის სურსათის უსასყიდლოდ მიწოდება (გადაცემა), „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

- 172-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატა „ჰ“ ქვეპუნქტი და, შედეგად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის/სურსათის ბანკისთვის სურსათის უსასყიდლოდ მიწოდება (გადაცემა), „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ცვლილების ტექსტში არსებულ ტერმინებს „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით გააჩნია შემდეგი მნიშვნელობები:

- სურსათის მიწოდების ჯაჭვი - სურსათის მიწოდების სრული ციკლი, რომელიც მოიცავს სურსათის მიწოდების ყველა ეტაპს მისი წარმოებიდან ბენეფიციარის მიერ მის მიღებამდე
- სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილე - ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელიც სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილეობს
- სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სურსათით საქველმოქმედო საქმიანობას.

ცვლილება ძალაშია 2025 წლის 1 იანვრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა ეხება ცვლილებებს ბრძანებაში გადასახადების ადმინისტრირების შესახებ და 2023 წლის 24 ოქტომბრის კანონის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებებს.

მარიამ ხუსკივაძე
MKhuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქიძე
MEnukidze@bdo.ge

▸ ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.
ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.